



## პროფ. როინ ჭიკაძე - 80

ბატონო როინ,

არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, მისი ყველა წევრის სახელით, მოგესალმებათ და გულითადად გილოცავთ თქვენს მე-80 დაბადების დღეს!

ეს თარიღი თქვენი პიროვნებისთვის, ჭეშმარიტად, სიჭარმაგის ასაკია და, სურვილთან ერთად, იმის რწმენასაც გამოვთქვამთ, რომ 100 წლამდე ასეთივე შემართებით, სიბერემოურველად მიხვალთ!

თქვენ ისევე გშენით ეს 80 წლის იუბილე, როგორც ლამაზად გიცხოვრიათ და გიღვაწიათ სამეცნიერო-აკადემიურსა თუ საზოგადოებრივ ასპარეზზე!

თქვენ გამორჩეული ღვაწლი მიგიძღვით თქვენი მშობლიური თელავის უნივერსიტეტის (მანამდე - თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის) შექმნასა, შენარჩუნებასა და განვითარებაში. სხვადასხვა დროს თქვენ - როგორც კათედრის გამგე, როგორც პრორექტორი, როგორც სამგზის რექტორი - ყველაზე საპასუხისმგებლო წლებში, ღირსეულად და ბრძნულად წარმართავდით ამ უმნიშვნელოვანესი რეგიონული უნივერსიტეტის სვლაგეზს და დიდოსტაურად განარიდებდით ნაირგვარ ღელვათაგან...

თქვენ აგებდით შინაარსიან და გამძლე შემოქმედებით-საქმიანსა და ადამიანურ კავშირებს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებსა და კვლევით ინსტიტუტებთან და მხარს უჭერდით ყველა ინიციატივას, რაც კი ჩვენს ქვეყანასა და ჩვენს ქართველოლოგიას სასიკეთოდ წაადგებოდა; ეს თქვენი დაუშრეტელი ინტერესისა და ორგანიზატორული უნარის დამსახურებაც არის, რომ მეტად ნაყოფიერ ტრადიციად ჩამოყალიბდა რეგიონული და გაცვლითი ხასიათის ისეთი სამეცნიერო ფორუმები, როგორებიცაა „დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესია“, „საენათმეცნიერო საუბრები“, „კლასიკოსთა გაკვეთილები“ და სხვ.

თქვენ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეთ ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის, განსაკუთრებით - სინტაქსის კვლევის საქმეში, ხელი შეუწყვეთ მწერლის ენისა და სტილის შესწავლას, დიალექტოლოგიის განვითარებას...

თქვენ უშურველად გადასცემდით პროფესიულ ცოდნას მთელს თაობებს და არაერთი მოწაფე გიმადლით სამეცნიერო ინტერესის გაღვივებასა და ხელმძღვანელობას...

თქვენ - ენამზიანი მოქართულე და ქართლ-კახური იუმორის ნამდვილი გურმანი - შესანიშნავი საურთიერთო და სამეგობრო პიროვნება ბრძანდებით და თქვენს გულის სამშოს მართლაც გამორჩეული სახელები ამშვენებს: ალექსი ჭინჭარაული, რევაზ თვარაძე, ბესარიონ ჯორბენაძე, ივანე ქეშიკაშვილი, გენადი ბურჭულაძე...

ბატონო როინ,

მეცნიერებისა და პედაგოგიკის ბურჯო,

გამორჩეულო მეგობარო,

ჩინებულო მეოჯახე,


გულიანო მამულიშვილო,

გილოცავთ ამ საიუბილეო თარიღს და გისურვებთ კვლავაც ჯანმრთელ და ნაყოფიერ ცხოვრებას!

არნოდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

დირექტორი - ავთანდილ არაბული 

სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე - გიორგი გოგოლაშვილი



9.11.2017